ხობის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ50. 5023131001**

თარიღი:**11/05/2023**

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს თანდართული დებულება.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3), კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ბუკია

ხობის მუნიციპალიტეტის მერია-ხობის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - ახალგაზრდული საბჭოს (შემდგომ - საბჭო) შექმნისა და საქმიანობის წესს, მის უფლებამოსილებებს, საბჭოს წევრთა მოვალეობებს, კომპეტენციებს და სხვა რეგულაციებს.

2. საბჭო იქმნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდების მონაწილეობის, ინიციატივების, რეკომენდაციების, მოსაზრებების, რჩევების შემუშავებისა და წარდგენის პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 2. ახალგაზრდული საბჭოს მიზანი და უფლებამოსილება

1. საბჭოს მიზანია:

ა) ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების სრულფასოვანი მონაწილეობა, ახალგაზრდული პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში ახალგაზრდების ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინების მიზნით;

გ) ახალგაზრდების ინფორმირება, ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე მოვლენების, მუნიციპალური პროგრამების/ქვეპროგრამების და სიახლეების შესახებ.

2. საბჭოს უფლებამოსილებებია:

ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებებისა და ინტერესების შესწავლა, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და მერისთვის წარდგენა;

ბ) მონაწილეობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში;

გ) მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტირების პროცესში, მოსაზრებებისა და რეკომენდაციების დოკუმენტის მომზადება და მერისთვის წარდგენა, ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსთვის წარდგენამდე;

დ) ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სხვადასხვა მიმართულებით;

ე) ახალგაზრდების ინფორმირება ახალგაზრდული პოლიტიკის, ასევე, ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე მოვლენების, პროგრამების/ქვეპროგრამების, არსებული შესაძლებლობების, აქტივობების და სიახლეების შესახებ.

მუხლი 3. საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპები

საბჭოს საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

ა) საჯაროობა;

ბ) კოლეგიურობა;

გ) კანონიერება;

დ) ახალგაზრდების აზრის გათვალისწინება;

ე) ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა;

ვ) ანგარიშვალდებულება;

ზ) გამჭვირვალობა;

თ) თანასწორობა;

ი) მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მიღება.

მუხლი 4. საბჭოს სტრუქტურა

საბჭო შედგება არანაკლებ 10 წევრისგან, რომელთა შორის უფლებამოსილებები ნაწილდება შემდეგი სახით:

ა) თავმჯდომარე - 1;

ბ) თავმჯდომარის მოადგილე - 1;

გ) საბჭოს მდივანი - 1;
დ) კოორდინატორი - 1;
ე) წევრი - არანაკლებ 6.

მუხლი 5. საბჭოს წევრთა არჩევის წესი

1. საბჭოს წევრთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე.
2. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, კონკურსის ჩატარების პირობები და შეფასების კრიტერიუმები მტკიცდება ხობის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომ - მერი) ბრძანებით.
3. საბჭოს რაოდენობრივ და სიით შემადგენლობას ამტკიცებს მერი.
4. საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 14-დან 29 წლის ჩათვლით ასაკის ახალგაზრდა, რომელიც არ არის დასაქმებული საჯარო სამსახურში.
5. საბჭოს წევრად ერთი და იგივე ახალგაზრდა შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
6. საბჭოს წევრების უფლებამოსილების ვადად განისაზღვრება მერის უფლებამოსილების ვადა.
7. საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას ან/და უფლებამოსილების ვადის ამოწურვისას, ცხადდება ახალი შესარჩევი კონკურსი.

მუხლი 6. საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობები და ქცევის სტანდარტი

1. საბჭოს წევრი მოქმედებს ამ დებულების შესაბამისად და მოხალისეობრივ საწყისებზე.
2. საბჭოს წევრი ვალდებულია დაიცვას ქცევის შემდეგი სტანდარტი:
ა) იყოს პუნქტუალური;
ბ) პატივისცემით მოეპყროს კოლეგებს;
გ) დროულად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
დ) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებსა და მუშაობაში;
ე) თვალყური ადევნოს მიმდინარე მოვლენებს და იყოს პროაქტიული;
ვ) გასცემდეს და იღებდეს უკუკავშირს კონსტრუქციულად;
ზ) არ მიაყენოს შეურაცხყოფა კოლეგებსა და სხვა პირებს;
თ) მზად იყოს დახმარების გასაწევად და მისაღებად;
ი) იკისროს პასუხისმგებლობა წინამდებარე დებულების შესრულებაზე.
3. საბჭოს წევრის მოვალეობებია:
ა) მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების საჭიროებების და ინტერესების შესწავლა, წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება და საბჭოსთვის წარდგენა;
ბ) მონაწილეობა მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებაში;
გ) მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტირების პროცესში, მოსაზრებების და რეკომენდაციების დოკუმენტის მომზადება და საბჭოსთვის წარდგენა, ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსთვის წარდგენამდე;
დ) ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სხვადასხვა მიმართულებით;
ე) ახალგაზრდების ინფორმირება ახალგაზრდული პოლიტიკის, ასევე, ადგილობრივ თვითმმართველობაში მიმდინარე მოვლენების, მუნიციპალური პროგრამების/ქვეპროგრამების, არსებული შესაძლებლობების, აქტივობების და სიახლეების შესახებ;
ვ) საბჭოს სხდომებსა და მუშაობაში მონაწილეობა.
4. საბჭოს წევრის უფლებებია:
ა) საბჭოს სხდომაზე დასვას საკითხი განსახილველად, მოახდინოს საკითხის ინიციირება, შეიტანოს წინადადებები საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მონაწილეობა მიიღოს დებატებში, დასვას შეკითხვა და მიიღოს პასუხი, გააცნოს საბჭოს ახალგაზრდების მოსაზრებები და მიმართვები;

ბ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს მერიის სტრუქტურული ერთეულების, საკრებულოს კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებსა და შეხვედრებში;

გ) შეხვდეს მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებს და საჯარო მოსამსახურეებს, გამოითხოვოს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია საბჭოს უფლებამოსილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიც აუცილებელია მისი საქმიანობის განსახორციელებლად, გარდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისა. ასევე, უშუალო მონაწილეობა მიიღოს მის მიერ დასმული საკითხების განხილვაში;

დ) შეისწავლოს ახალგაზრდების აზრი, განახორციელოს კვლევები, ინტერაქტიური შეხვედრები და ახალგაზრდების გამოკითხვა, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმების მეშვეობით და კვლევის შედეგები წარადგინოს საბჭოს სხდომაზე განსახილველად.

5. საბჭოს წევრი ვალდებულია არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისთვის თავისი უფლებამოსილება და/ან მასთან დაკავშირებული რაიმე შესაძლებლობა.

6. დაუშვებელია საბჭოს წევრობის გამოყენება ისეთი მიზნებისთვის, რომელიც არ შეესაბამება ახალგაზრდების ჯანსაღი და ობიექტური მონაწილეობის ხელშეწყობას, კერძოდ:

ა) საბჭო/წევრი ეწეოდეს პოლიტიკურ ან/და საარჩევნო აგიტაციას, იყენებდეს ისეთ ატრიბუტიკასა თუ სიმბოლიკას, რომელიც რომელიმე პოლიტიკურ სუბიექტთან ასოცირდება ან/და მონაწილეობდეს წინასაარჩევნო კამპანიაში საბჭოს წევრის სტატუსით და საბჭოს სახელით;

ბ) საბჭოს წევრი იღებდეს ანაზღაურებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან, მისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

გ) საბჭოს წევრი მუშაობდეს საჯარო სამსახურში.

7. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მერის უფლებამოსილების ვადის ამოწურვა.

ბ) წევრის უფლებამოსილების ვადის გასვლა;

გ) მუშაობის დაწყება საჯარო სამსახურში;

დ) პირადი განცხადება;

ე) სასამართლოს მიერ მისი შეზღუდულ ქმედუნარიანად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, გარდაცვლილად გამოცხადება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ვ) საბჭოს მუშაობაში ჩართვისგან თავის არიდება და საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

8. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ფორმდება მერის ბრძანებით.

9. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, საბჭოს ახალი წევრის შერჩევა ხდება ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. საბჭოს თავმჯდომარე

1. საბჭოს თავმჯდომარე აირჩევა საბჭოს წევრებიდან, საბჭოს უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

2. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატის დასახელება შეუძლია საბჭოს არანაკლებ 3 წევრს.

3. კენჭისყრის ჩატარებამდე, დასახელებული კანდიდატი დამსწრეებს გააცნობს თავის პროგრამას (არსებობის შემთხვევაში), ან პასუხობს საბჭოს წევრთა დასმულ კითხვებს ან/და უფლება აქვს მოხსნას საკუთარი კანდიდატურა.

4. თუ არჩევნებში მონაწილე ორმა ან მეტმა კანდიდატმა დააგროვა ხმების მეტი და თანაბარი რაოდენობა, იმავე დღეს ინიშნება არჩევნების მეორე ტური ამ კანდიდატების მონაწილეობით. კანდიდატებს შესაძლებლობა ექნებათ, სიტყვით მიმართონ დამსწრეებს და ამის შემდგომ ტარდება ხელახალი კენჭისყრა.

5. თუ გამარჯვებულის გამოვლენა მეორე ტურშიც ვერ მოხერხდა, საბჭოს თავმჯდომარის არჩევა მოხდება თანაბარი ხმების მქონე კანდიდატებიდან, შემთხვევითი პრინციპის მიხედვით, ბრმა წილის ყრით. ბრმა წილისყრა ტარდება შემდეგი პრინციპით: ყუთში განთავსდება დაკეცილი ფურცლები საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატის სახელის და

გვარის მითითებით, თითოეულ კანდიდატზე თავმჯდომარის არჩევის პროცესში მონაწილე საბჭოს წვრთა (სხდომაზე დამსწრე წევრთა) რაოდენობით. საბჭოს თითოეული წევრი ყუთიდან იღებს თითო ფურცელს და გამარჯვებულად ვლინდება ის კანდიდატი, რომლის სახელის და გვარის მითითებით ამოღებული ფურცელი მეტი აღმოჩნდება.

6. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) უძღვება საბჭოს მუშაობას და სხდომებს, საერთო ხელმძღვანელობას უწევს საბჭოს საქმიანობას;

ბ) იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს საბჭოს მორიგ/რიგგარეშე სხდომებს;

გ) სვამს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;

დ) საბჭოს წევრებთან შეთანხმებით, ადგენს საბჭოს წევრების ახალგაზრდებთან შეხვედრების განრიგს;

ე) უზრუნველყოფს საბჭოს მიზნების, ამოცანების და უფლება-ვალდებულებების შესრულებას. ახორციელებს საბჭოს წარმომადგენლობით ფუნქციებს;

ვ) ადგენს და აქვეყნებს საბჭოს მუშაობის ანგარიშს;

ზ) უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა უფლებების დაცვას.

7. დაუშვებელია საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადაცემა ან გაწვევა/შეცვლა. ამასთან, შესაძლებელია უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შემდეგი მიზეზებით:

ა) საბჭოს თავმჯდომარეობაზე უარის თქმა პირადი განცხადებით;

ბ) მუშაობის დაწყება საჯარო სამსახურში;

გ) გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბჭოს მუშაობაში ჩართვისგან თავის არიდება და საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

8. საბჭოს თავმჯდომარის გადაყენების საკითხის დაყენება შეუძლია საბჭოს არანაკლებ 4 წევრს, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით და მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 8. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

1. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აირჩევა საბჭოს შემადგენლობიდან, საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

2. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს თავმჯდომარის დავალებებს, ასევე, ეხმარება მას, მისი უფლებამოსილების და მოვალეობის განხორციელებაში.

3. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას, საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში.

4. დაუშვებელია საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების სხვა პირისთვის გადაცემა ან გაწვევა/შეცვლა. ამასთან, შესაძლებელია უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შემდეგი მიზეზებით:

ა) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე უარის თქმა პირადი განცხადებით;

ბ) მუშაობის დაწყება საჯარო სამსახურში;

გ) გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბჭოს მუშაობაში ჩართვისგან თავის არიდება და საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა.

5. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის დაკავებული პოზიციიდან გადაყენების საკითხის დაყენება შეუძლია საბჭოს არანაკლებ 3 წევრს, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით და მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 9. საბჭოს მდივანი:

1. საბჭოს მდივანი აირჩევა საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა შემადგენლობის მესამედის წარდგინებით, საბჭოს უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

2. საბჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, საბჭოს თავმჯდომარის დავალებით მის უფლებამოსილებას ახორციელებს საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

3. საბჭოს მდივანი:

ა) ორგანიზებას უწევს საბჭოს სხდომის მოწვევას;

ბ) საბჭოს სხდომის მოწვევის შესახებ არეგისტრირებს განცხადებას/ინიციატივას;

გ) აცნობს სხდომის დღის წესრიგს სხდომაზე დამსწრე წევრებს;

დ) ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის დავალებებს;

ე) აფორმებს საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4. საბჭოს მდივნის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) საბჭოს მდივნის პოზიციაზე უარის თქმა პირადი განცხადებით;

ბ) მუშაობის დაწყება საჯარო სამსახურში;

გ) გარკვეული პერიოდის განმავლობაში საბჭოს მუშაობაში ჩართვისგან თავის არიდება და საბჭოს სხდომის ზედიზედ 3-ჯერ არასაპატიო მიზეზით გაცდენა;

5. საბჭოს მდივნის გადაყენების საკითხის დაყენება შეუძლია საბჭოს არანაკლებ 3 წევრს, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით და მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 10. საბჭოს კოორდინატორი:

საბჭოს კოორდინაციას უწევს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (შემდგომ - სამსახური) პასუხისმგებელი თანამშრომელი ახალგაზრდული მიმართულებით, რომელიც თავისი კვალიფიკაციითა და კომპეტენციით, ცოდნა-გამოცდილების გაზიარებით, ეხმარება საბჭოს ახალგაზრდა წევრებს მათი ფუნქციების მაღალორგანიზებულად განხორციელებაში, ასევე, ტექნიკური და საკოორდინაციო საკითხების მოგვარებაში.

მუხლი 11. საბჭოს სხდომის მოწვევა

1. საბჭოს პირველი სხდომა ტარდება კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

2. საბჭოს პირველ სხდომას იწვევს მერი.

3. საბჭოს პირველი სხდომის დღის წესრიგი მოიცავს საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არჩევას (შესაძლებელია სხვა ორგანიზაციული საკითხების განხილვაც).

4. საბჭოს სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის მიერ, საჭიროებისამებრ მაგრამ არანაკლებ 3 თვეში ერთხელ მაინც.

5. საბჭო ასევე მოიწვევა:

ა) მერის ინიციატივით;

ბ) საბჭოს კოორდინატორის ინიციატივით (წერილობით);

გ) საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით.

6. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მაინც.

7. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ამასთან, საბჭოს წევრების ხმათა თანასწორობის შემთხვევაში, გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

8. საბჭოს სხდომები ღიაა და მასზე დასწრება შეუძლია ნებისმიერ პირს.

9. საბჭო უფლებამოსილია მნიშვნელოვანი საკითხ(ებ)ის განხილვასთან მიმართებაში, პროფესიული რჩევებისა და მოსაზრებების მიღების თვალსაზრისით, მოიწვიოს სხვადასხვა სფეროს ექსპერტები ან/და კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მონაწილეობას

მიიღებენ საბჭოს სხდომების მუშაობაში (ან/და კონკრეტული თემატიკის მიმართულებით) და გასცემენ კომპეტენტურ რეკომენდაციებს.

10. საბჭოს სხდომათა თარიღის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება სხდომამდე 2 დღით ადრე მაინც, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ან/და საბჭოს მიერ სხვა საშუალებებით, ხოლო საბჭოს წევრებს ეცნობება 3 დღით ადრე მაინც, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით.

11. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება საბჭოს სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

12. საბჭოს სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

ა) თარიღი;

ბ) დამსწრე საბჭოს წევრების სია;

გ) საბჭოს წევრების სია, რომლებიც ვერ დაესწრნენ სხდომას;

დ) სხდომის დღის წესრიგი;

ე) სხდომაზე განხილული საკითხები და განხილვის პროცესში მონაწილე პირთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მოკლე აღწერები;

ვ) კენჭისყრის შედეგები;

ზ) სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება (რეკომენდაციები).

13. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები (რეკომენდაციები) ეგზავნება მერს.

14. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილები სარეკომენდაციო ხასიათისაა.

15. საბჭოს წევრი უფლებამოსილია, საბჭოს სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, მერს წარუდგინოს (წერილობით) განსხვავებული პირადი/ალტერნატიული მოსაზრებები რეკომენდაციების სახით.

16. საბჭოში სამუშაო ჯგუფების რაოდენობა, თემატური მიმართულებები, პროცედურები და ვადები განისაზღვრება საბჭოს წევრთა მიერ, არსებული საჭიროებებიდან გამომდინარე.

მუხლი 12. ანგარიშვალდებულება

1. საბჭო ანგარიშვალდებულია მერის წინაშე და რეგულარულად (კვარტალურად და წლის ბოლოს) წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. საბჭო, გარდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან ანგარიშვალდებულისა, უზრუნველყოფს საჯარო საინფორმაციო შეხვედრას (კვარტალურად და წლის ბოლოს) ახალგაზრდებთან, საქმიანობის/ანგარიშის გაცნობის მიზნით. ინფორმაცია ანგარიშის წარდგენის თარიღის, დროის, ადგილის და დღის წესრიგის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ცხადდება ანგარიშის წარდგენამდე ერთი კვირით ადრე მაინც.

მუხლი 13. საბჭოს და მერის ურთიერთობები

1. საბჭოს განსახილველად წარედგინება ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ახალგაზრდული, ინფრასტრუქტურული, სოციალური და ა.შ. პროგრამების/ქვეპროგრამების პროექტები.

2. საბჭო, სხდომაზე განხილვის შემდგომ, თავის გადაწყვეტილებას (წინადადებას თუ მოსაზრებას) წერილობით წარუდგენს მერს.

3. მერი, საბჭოს მიერ შეთავაზებულ რეკომენდაციასთან (წინადადება/მოსაზრება) მიმართებაში, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

4. საბჭოს მიერ შეთავაზებული რეკომენდაცია მერისთვის არ წარმოადგენს დაბრკოლებას შემდგომი გადაწყვეტილებების მიღებისთვის.

5. მერის მხრიდან საბჭოსთვის სამუშაო მასალების (კორესპონდენციის, პროექტების) გადაცემა და მეორე მხრივ, საბჭოდან მერისთვის შესაბამისი წინადადებების (რეკომენდაციების) გადაცემა ხორციელდება უშუალოდ, ამ დოკუმენტაციის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში მოძრაობის გარეშე ან/და ოფიციალურად, საქმისწარმოების დადგენილი წესის მიხედვით.

მუხლი 14. საბჭოს მხარდაჭერა. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

1. კომპეტენციისა და შესაძლებლობის ფარგლებში, ხობის მუნიციპალიტეტის მერია ხელს უწყობს საბჭოს სამოქალაქო ინიციატივების, პროექტების და სხვა აქტივობების რეალიზებაში.

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერია, საბჭოს უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაო ფართით, საკანცელარიო და სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ინვენტარით, ადმინისტრაციული, ორგანიზაციული, ტექნიკური და საგანმანათლებლო მხარდაჭერით.

მუხლი 15. საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანა

1. საბჭოს შეუძლია წინადადებით მიმართოს მერს, საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რაც საბჭოს სხდომაზე მხარდაჭერილი უნდა იყოს ღია კენჭისყრით, საბჭოს შემადგენლობის ხმების უმრავლესობით.

2. დებულებაში ცვლილების შესახებ ინიციატივის დაყენება, საბჭოსთან შეთანხმებით, შეუძლია სამსახურს.